

ბარსელონას ქაოტური ფინანსები - რეკორდული ვალი 2 მილიარდ ევროს გადააჭარბებს

სტატია The Athletic-იდან ნათარგმნია სპეციალურად Barcamania.ge-სთვის.

ბოლო წლებში "ბარსელონას" ფინანსებში გარკვევა წყლის ხელით დაჭერის მცდელობას ჰგავდა - უმადურ და მეტწილად თავგზადამბნევ საქმეს.

კლუბის 2025/26 წლების ფინანსური ანგარიში, რომელიც კლუბის წევრებმა (სოსიოსებმა) ოფიციალურად 19 სექტემბერს უნდა დაამტკიცონ, თუმცა The Athletic-მა ის უკვე ექსკლუზიურად მოიპოვა, ამ ისტორიას კიდევ ერთ თავს მატებს.

გასულ სეზონში "ბარსელონას" შემოსავალმა 1 მილიარდ ევროს (859 მილიონი ფუნტი; 1.1 მილიარდი დოლარი) გადააჭარბა და ის ისტორიაში მხოლოდ მეორე საფეხბურთო კლუბი გახდა "რეალ მადრიდის" შემდეგ, ვინც ეს შეძლო. მიუხედავად ამისა, კლუბმა მოგებაზე გასვლა მაინც ვერ მოახერხა და გადასახადების შემდეგ 17.8 მილიონი ევროს წმინდა ზარალი დააფიქსირა, მაშინ როცა "სპოტიფაი კამპ ნოუს" ძვირადღირებული რეკონსტრუქცია კვლავ დაუსრულებელია, ვალები კი გროვდება და იზრდება.

საფეხბურთო მოედანზე გუნდმა მაისში ზედიზედ მეორე ლა ლიგის ტიტული საუკეთესო ფორმით გაიფორმა - შინ "რეალ მადრიდი" 2-0 დაამარცხა და მოსისხლე მეტოქეს მიახლოების შანსი არ დაუტოვა. ჰანსი ფლიკის გუნდი ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალურ ეტაპზე გამოეთიშა, თუმცა კვლავ მოიგო ესპანეთის სუპერ თასი.

საჩემპიონო ტიტული მარტში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს მოჰყვა, სადაც ჟოან ლაპორტამ წარმატებით მოიგერია ვიქტორ ფონტის წინააღმდეგობა - ისევე, როგორც ეს 2021 წელს, პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებისას გააკეთა. ლაპორტა ახლა მმართველობის ზედიზედ მეექვსე წელს ითვლის, ჯამში კი მეცამეტეს (იგი კლუბს 2003-დან 2010 წლამდეც ხელმძღვანელობდა).


მისი ხელახალი არჩევა ტურბულენტურ წლებს მოჰყვა - პერიოდს, როდესაც "ბარსელონას" ფინანსები ისეთივე განხილვადი თემა იყო, როგორც თავად ფეხბურთი. ახლა ვითარება გაცილებით მშვიდია, ვიდრე გარკვეულ ეტაპზე იყო, თუმცა ლაპორტას მიერ ხომალდის გასასწორებლად და ელიტასთან კონკურენციის შესანარჩუნებლად გადადგმული ნაბიჯები კლუბს ჯერ კიდევ დიდხანს გაჰყვება მძიმე ჩრდილად.

ფინანსური მიმოხილვა

"ბარსელონა" დიდი ხანია ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი კლუბია და ნათელი მტკიცებულებაა იმისა, რომ დიდი შემოსავალი ჯანსაღ ფინანსურ მდგომარეობას არ ნიშნავს. ხუთი წლის წინ მათ სპორტში მეოთხე ყველაზე მაღალი შემოსავალი ჰქონდათ, თუმცა ამავდროულად მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ზარალის მხრივ.

ნახევარი ათწლეულის შემდეგ შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა. კლუბის მიერ შემოღებული გარკვეული ბუღალტრული თავისებურებების გათვალისწინების შემდეგ (თავიანთ ანგარიშგებაში ისინი შემოსავალში ტრანსფერებიდან მიღებულ მოგებასაც ათვლიან, რასაც ანალიტიკოსები ჩვეულებრივ არ აკეთებენ), მათ გასულ სეზონში პირველად გადააბიჯეს 1 მილიარდ ევროს.

ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალი შემოსავლები (მლრდ. ევრო)



ეს უზარმაზარი თანხაა, რომელიც კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ბარსელონას" ჯერ სრულად არ მიუღია ის ეკონომიკური ეფექტი, რასაც განახლებული სტადიონი მოიტანს.

კლუბი საკუთარ ისტორიულ არენას გასულ ნოემბერში დაუბრუნდა, თუმცა მკვეთრად შეზღუდული, 45,401-იანი ტევადობით. მიმდინარე წლის მარტში ეს ციფრი 62,000-მდე გაიზარდა, რაც ჯერ კიდევ შორს არის იმ 105,000 ადგილიდან.

ნაწილობრივი დაბრუნების პირობებშიც კი, გასული სეზონის ციფრები ნათლად აჩვენებს, თუ რატომ წამოიწყო კლუბმა თავიდანვე ასეთი ძვირადღირებული პროექტი.

პირველი ოთხი თვის განმავლობაში "სპორტიფაი კამპ ნოუს" ხელმისაწვდომი ტევადობა იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე "ესტადი ოლიმპიკზე", მათ ორწლიან დროებით სახლში. ამიტომ ბილეთების გაყიდვიდან მიღებული პირდაპირი შემოსავალი მხოლოდ 3 მილიონი ევროთი (3%) გაიზარდა. თუმცა, დაუსრულებელ სტადიონზე დაბრუნებამაც კი კოლოსალურად გაზარდა VIP და მასპინძლობის (hospitality) შემოსავლები: მან 50 მილიონ ევროს გადააჭარბა, მაშინ როცა 2024/25 წლებში "მონჟუიკზე" ეს მაჩვენებელი მხოლოდ 21.1 მილიონი იყო.

კლუბის წევრებისგან (სოსიოსებისგან) მიღებული შემოსავალიც 31.6 მილიონიდან 40.1 მილიონ ევრომდე გაიზარდა, თუმცა ეს მაინც საგრძნობლად ჩამოუვარდება 2022/23 წლების პიკურ 65.5 მილიონს (სამუშაოების დაწყებამდე ბოლო სეზონს). პროექტის დასრულება შემოსავლებს ყველა მიმართულებით გაზრდის; "ბარსელონა" ვარაუდობს, რომ Espai Barça სრული ამოქმედების შემდეგ წლიურად დამატებით 250 მილიონ ევროს მოიტანს.

ეს დამატებითი თანხები კლუბს ჰაერივით დასჭირდება, რადგან პროექტი უკიდურესად ძვირადღირებული რჩება.

კომერციული აფეთქება და ბერკეტები

სანამ ამ ხარჯებს განვიხილავთ, უნდა შევხედოთ, რამ მიიყვანა "ბარსელონა" შემოსავლების ამ რეკორდულ ნიშნულამდე. კლუბის ყველაზე დიდი შემოსავალი კომერციულ სექტორზე მოდის, სადაც მაჩვენებლები ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა - 2019-დან 2025 წლამდე ზრდამ 200 მილიონი ევრო შეადგინა.

Nike-თან და Spotify-სთან გაფორმებულმა გიგანტურმა კონტრაქტებმა კლუბის კომერციული შემოსავალი 564.1 მილიონ ევრომდე აიყვანა - ეს ისეთი მასშტაბია, რომელსაც მხოლოდ "რეალ მადრიდი" თუ უტოლდება. Nike-თან ფორმების მწარმოებლის კონტრაქტი ორი წლის წინანდელი განახლების შემდეგ 2038 წლამდე მოქმედებს. Spotify-სთან შეთანხმება, რომელიც სტადიონის სახელდების უფლებასაც მოიცავს, 2025 წლის ოქტომბერში კიდევ ოთხი სეზონით გახანგრძლივდა.

ამას ემატება მერჩენდაიზინგიდან მიღებული კოლოსალური თანხები, რაც კლუბის გლობალურ პოპულარობაზე მეტყველებს. სავაჭრო შვილობილმა კომპანიამ, Barça Licensing and Merchandising-მა (BLM), გასულ სეზონში 189.5 მილიონი ევრო შეიტანა ბიუჯეტში, რაც ერთ წელიწადში 39 მილიონით (26%), ხოლო ხუთი წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით 137.8 მილიონით მეტია.

კლუბის კომერციული შემოსავალი კიდევ უფრო დასაფასებელი ხდება, თუ გამოვრიცხავთ ერთჯერადი სალიცენზიო უფლებების (PSL) ეფექტს. 2025 წლის იანვარში "ბარსელონამ" რეკონსტრუირებულ სტადიონზე 9,600 VIP ადგილის 30-წლიანი უფლებების გაყიდვა დაიწყო. 2024/25 წლებში მათ აქედან 71.6 მილიონი ევრო მიიღეს, დარჩენილი 28.4 მილიონი კი მომავალ სეზონებზე გადანაწილდა.

აქედან 9.5 მილიონი ევრო 2025/26 წლების კომერციულ შემოსავალში აისახა. ის ფაქტი, რომ მთლიანი კომერციული შემოსავალი სტაბილური დარჩა, ნიშნავს, რომ PSL-ის შემოსავლების 62-მილიონიანი კლება სხვა მიმართულებების ზრდამ სრულად დააბალანსა. ეს გაყიდვები იმ ბერკეტებს (palancas) ჰგავს, რომლებსაც ლაპორტა ბოლო წლებში აქტიურად იყენებდა - მოკლევადიანი ინსტრუმენტი, რათა გუნდს კონკურენტუნარიანობა და ლა ლიგის ხარჯვის წესებთან შესაბამისობა შეენარჩუნებინა. მათი ერთჯერადი ბუნება ნამდვილად ერგება ამ განმარტებას და საკამათოა, საერთოდ უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს შემოსავლად, თუმცა გასულ სეზონში მათი გავლენა საერთო მაჩვენებელზე მკვეთრად შემცირდა.

თუ PSL-ის გაყიდვები მომავალი შემოსავლების წინსწრებით მიღებას ემსახურებოდა, სხვა ბერკეტი მათ განიავებას განაგრძობს, რაც კლუბის შემოსავლების გენერირების პოტენციალს ზღუდავს.

2025/26 წლებში "ბარსელონას" სატელევიზიო შემოსავალმა 244.6 მილიონი ევრო შეადგინა. ეს პატარა ციფრი არ არის, თუმცა საგრძნობლად ჩამოუვარდება 2019/20 წლების კლუბის რეკორდულ 298.1 მილიონს, და უახლოეს მომავალში ამ ნიშნულზე დაბრუნების შანსი მცირეა. გასულ სეზონში კლუბი ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალში გამოეთიშა, თუმცა UEFA-ს საპრიზო ფონდის წყალობით ტურნირიდან სამაუწყებლო შემოსავლის სახით დაახლოებით 99 მილიონი ევრო მიიღო.

დარჩენილი დაახლოებით 145 მილიონიდან 136 მილიონი კაცთა პირველ გუნდზე მოდის, ძირითადად ლა ლიგის ტიტულის წარმატებული დაცვის ხარჯზე. თუმცა შიდა ჩემპიონატიდან მიღებული თანხა შეზღუდულია 2022 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, როდესაც კლუბმა საინვესტიციო ფონდ Sixth Street-ს 25 წლის ვადით შიდა სატელევიზიო უფლებების 25% მიჰყიდა 667.5 მილიონ ევროდ. ეს თავდაპირველად უზარმაზარი ფინანსური ინექცია იყო, თუმცა ახლა ყოველწლიურად აკლდება ბიუჯეტს.

ლა ლიგას 2025/26 წლების საბოლოო განაწილება ჯერ არ გამოუქვეყნებია, თუმცა წინა სეზონებისა და კლუბის ციფრების საფუძველზე, თანხა, რომელსაც "ბარსელონა" Sixth Street-ს ყოველწლიურად ურიცხავს, დაახლოებით 40 მილიონ ევროს შეადგენს.

ოთხი წლის წინანდელი თანხა კლუბს სასიცოცხლოდ სჭირდებოდა, თუმცა მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ამ ფულის უკან დაბრუნება გაცილებით ძვირად მოუწევს. გასულ წელს ლა ლიგამ გაუმჯობესებული სამაუწყებლო პაკეტი შეათანხმა, რომელიც ძალაში 2027/28 წლების სეზონიდან შევა - რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო ფონდისთვის გადასახდელი თანხა სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება.

სწორედ ამიტომ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დასრულებული Espai Barça-ს სრული ფინანსური სარგებლის მიღება, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ 1-მილიარდიანი შემოსავლის მიუხედავად, "ბარსელონა" მოგებაზე გასვლას მაინც ვერ ახერხებს.

გასულ სეზონში დეფიციტი თითქმის უცვლელი დარჩა და გადასახადების შემდეგ 17.8 მილიონი ევრო შეადგინა (2024/25 წლებში 16.9 მილიონი იყო). ეს ნიშნავს, რომ შვიდ წელიწადში კლუბმა ჯამში 348 მილიონი ევრო დაკარგა, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ 2022 და 2023 წლებში ბერკეტების მეშვეობით 1 მილიარდზე მეტი შემოსავალი მიიღო.

ფინანსური ბერკეტების მძიმე შედეგები

ათწლეულის დასაწყისში გამოყენებული ბერკეტების ტვირთი კვლავ იგრძნობა.

გასულ სეზონში კლუბის წილობრივი ღირებულებიდან Barça Studios-ში (რომელსაც ჯერ სახელი შეუცვალეს და Barça Vision დაარქვეს, შემდეგ კი Barça Produccions-ს შეუერთეს) კიდევ 23.3 მილიონი ევრო ჩამოიწერა. ფაქტობრივად, ამ ჩამოწერის გარეშე და PSL-ის 9.5-მილიონიანი შემოსავლის გარეშეც კი, "ბარსელონა" გასულ სეზონს ნულოვანი ბალანსით დაასრულებდა.

ამ შერწყმამ კლუბის წილი Barça Produccions-ში შეამცირა და ის შვილობილ კომპანიად აქცია, თუმცა გასულ წელს აქციებთან დაკავშირებული ახალი მანევრები განხორციელდა. "ბარსელონას" წილი Produccions-ში 9.72%-ით გაიზარდა და 63.14%-ს მიაღწია, თუმცა კლუბს რეალური ფული არ მიუღია - ეს აქციები წინა საკრედიტო ბარალის ნაწილობრივი კომპენსაციის სახით გადმოეცა.

ეს ყველაფერი თუ ძალიან ქაოტურად და რთულად ჟღერს, იმიტომ რომ ნამდვილად ასეა. საბოლოო ჯამში, იმ 401.1 მილიონი ევროს მოგებიდან, რომელიც "ბარსელონამ" Barça Vision-თან დაკავშირებით სამი წლის წინ ქაღალდზე აღიარა, 309.4 მილიონი უკვე გაუფასურდა და ჩამოიწერა. ამ ქაღალდის მოგებამ კლუბს თავის დროზე ლა ლიგის მკაცრი ფინანსური კონტროლის გვერდის ავლის საშუალება მისცა, ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ამ აქტივს ყოველწლიურად აუფასურებს, ამ სტრუქტურამ თავისი თავდაპირველი როლი შეასრულა.

გამონაკლისი ჩამოწერებისა და PSL-ის გარეშე ნულოვან ბალანსზე გასვლა თითქოს ცუდი შედეგი არ არის იმ სპორტში, სადაც თითქმის ყველა ბარალზე მუშაობს, თუმცა ეს გაცილებით ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურება 1.02 მილიარდი ევროს შემოსავლის კონტექსტში.

"ბარსელონას" შენახვის ხარჯები კოლოსალურია და მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ბაფხულამდე სატრანსფერო ხარჯები შემცირებული იყო, ისინი განაგრძობდნენ უზარმაზარი თანხების ხარჯვას შემადგენლობის ხელფასებზე. "ლა მასიას" აღზრდილებით დაკომპლექტებული გუნდის პირობებშიც კი, კლუბის სახელფასო ფონდი ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რა უჯდება კლუბს ტალანტების შენარჩუნება.

სახელფასო ხარჯებმა გასულ სეზონში 573.7 მილიონ ევროს მიაღწია, რაც 63.7 მილიონიანი (12%) ზრდაა და ისტორიაში მხოლოდ 2022/23 წლების პიკურ 626 მილიონს ჩამოუვარდება - წელს, როდესაც პანდემიის დროს გადავადებული გადახდების დიდი ნაწილი დაიფარა. ცოტა ხნის წინ ლა ლიგამ კლუბის განახლებული სახელფასო ჭერი 582.7 მილიონ ევროდ განსაზღვრა.

სხვა კლუბების 2025/26 წლების ბუსტი სახელფასო მაჩვენებლები ჯერ უცნობია, თუმცა 2024/25 წლების მასშტაბით "ბარსელონას" 574 მილიონი ევრო ევროპაში ყველაზე მაღალი იქნებოდა და ოფიციალურად გამოქვეყნებულ სახელფასო ფონდებს შორის ისტორიულ ტოპ-ხუთეულში შედის. მართალია, აქედან 45 მილიონი კლუბის სხვა სპორტულ სექციებზე იხარჯება, თუმცა სახელფასო ტვირთი მაინც უზარმაზარია.

უფრო მეტიც, გასული სეზონის 12%-იანი ზრდა თითქმის მთლიანად კაცთა საფეხბურთო გუნდზე მოდის. კლუბს ჰყავს ქალთა გუნდი, სხვა სპორტული სექციები და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელმაც ისტორიაში პირველად გადააჭარბა 1,000 თანამშრომელს, თუმცა 63.7-მილიონიანი ზრდიდან 61.3 მილიონი პირდაპირ მთავარ გუნდზე განაწილდა. კაცთა პირველი გუნდისა და ახალგაზრდული გუნდების ფეხბურთელთა ხელფასებზე 421.6 მილიონი ევრო დაიხარჯა, რაც ექვსჯერ აღემატება ლალიგის სხვა კლუბების საშუალო სახელფასო ბიუჯეტს (თუ არ ჩავთვლით "ბარსელონას", "რეალ მადრიდსა" და მადრიდის "ატლეტიკოს").

ხელფასების თანაფარდობა შემოსავალთან ჯერ კიდევ ნორმის ფარგლებშია და 56%-ს შეადგენს, თუმცა ერთ წელიწადში 4.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, რადგან ხარჯების ზრდის ტემპმა შემოსავლების ზრდას გადაასწრო. სრულიად საპირისპირო ვითარება იყო ოთხი ტიტულის მომგებ "ბარსელონას" ქალთა გუნდში, სადაც ისტორიულად წარმატებულმა სეზონმა შემოსავლები ახალ რეკორდამდე (28.9 მილიონი ევრო) აიყვანა, ხოლო ხელფასების წილი შემოსავალთან მიმართებით 53%-მდე შემცირდა.

ამ მასშტაბის კლუბის ოპერირება ზოგადად უზარმაზარ თანხებთანაა დაკავშირებული. სხვა საოპერაციო ხარჯები წლიურად 350 მილიონ ევროს აჭარბებს - ფეხბურთელთა კონტრაქტების სატრანსფერო ამორტიზაციის გათვალისწინების გარეშეც კი. 2024/25 წლებში "ბარსელონას" საოპერაციო ხარჯები მხოლოდ "რეალ მადრიდისას" ჩამოუვარდებოდა (თუმცა საგრძნობი სხვაობით) და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გასულ სეზონში ვითარება შეცვლილიყო. ესპანური გრანდები უზარმაზარ თანხებს გამოიმუშავებენ, თუმცა ამ შემოსავლების გენერირება ძალიან ძვირი ჯდება.

სატრანსფერო პოლიტიკა და ფარული კრედიტები

"ბარსელონას" ფინანსური პრობლემების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული გაყიდვით დაიწყო, როდესაც ნეიმარი 2017 წელს 222 მილიონ ევროდ წავიდა.

ამან კატალონიაში უკონტროლო ხარჯვის ერა დაიწყო. ლაპორტას მეორე პრეზიდენტობის ერთ-ერთი ნაკლებად ხაზგასმული ასპექტი სწორედ სატრანსფერო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება გახლდათ.

ბევრს ახსოვს 2022 წლის ზაფხული, როდესაც სატელევიზიო უფლებების გაყიდვით მიღებულმა თანხებმა კლუბს რაფინიას, ჟიულ კუნდესა და რობერტ ლევანდოვსკის ყიდვის საშუალება მისცა.

თუმცა იმ სეზონის წმინდა სატრანსფერო ხარჯი (133.6 მილიონი ევრო) გამონაკლისი იყო. ლაპორტას მეორე ვადის დანარჩენ ოთხ წელიწადში, 2026 წლის ივნისის ბოლომდე, კლუბის წმინდა ხარჯმა მხოლოდ 58 მილიონი შეადგინა. ფაქტობრივად, მაისში ენტონი გორდონის ტრანსფერის გარეშე, რომელიც 2025/26 წლების ფინანსურ პერიოდში შევიდა, კლუბის წმინდა სატრანსფერო ბალანსი 2021-22 და 2023-26 წლებში დადებითიც კი იქნებოდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში გამართულ საარჩევნო კამპანიაში ლაპორტა გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ კლუბი ახალი ფეხბურთელების დამატებას შეძლებდა და ეს ასეც მოხდა.

ყველაფერი გორდონის შეძენით დაიწყო (საწყისი 69 მილიონი ევრო, რაც ბონუსებით 80 მილიონამდე ადის). მას მოჰყვნენ როდრი (საწყისი 60 მილიონი), კარიმ ადეიემი (22 მილიონი), გაბრიელ ჟეზუსი (10 მილიონი) და ჯესი ბისიკუ (8.5 მილიონი). კლუბმა თანხა დაზოგა ჟოაუ კანსელუზე მას შემდეგ, რაც მან "ალ ჰილალთან" კონტრაქტი გაწვდითა, თუმცა მისი ხელფასი ნამდვილად არ იქნება სიმბოლური.

"ბარსელონამ" ამ ზაფხულს გაყიდვებიც განახორციელა - ყველაზე გამორჩეული ფერან ტორესის "პარი სენ-ჟერმენში" დაახლოებით 50 მილიონ ევროდ გასხვისება იყო, თუმცა ეს მაინც იმაზე ნაკლებია, რაც კლუბმა მასში ოთხი სეზონის წინ გადაიხადა. კატალონიელები ზოგადად სუსტ გამყიდველებად რჩებიან იმ ეპოქაში, როდესაც სულ უფრო მეტი კლუბი აქცევს სატრანსფერო ბაზარს შემოსავლის მთავარ წყაროდ. გასულ სეზონამდე "ბარსელონას" ხუთწლიანი მოგება მოთამაშეთა გაყიდვებიდან სულ რაღაც 81.4 მილიონი ევრო იყო - მეცხრე შედეგი ლა ლიგაში და 200 მილიონზე მეტით ნაკლები "რეალ მადრიდზე". 2025/26 წლების 38.7 მილიონი უკეთესი იყო წინა ხუთი სეზონიდან ოთხზე, თუმცა სატრანსფერო ჰიპერინფლაციის პირობებში მაინც ძალიან დაბალია.

გორდონის ტრანსფერის მიუხედავად, 2026 წლის ივნისის ბოლოს "ბარსელონას" შემადგენლობის საერთო საბალანსო ღირებულება (ფეხბურთელების შეძენაზე დახარჯული თანხა აგენტების საკომისიოების ჩათვლით) მხოლოდ 474.2 მილიონი ევრო იყო. ეს საგრძნობლად ჩამოუვარდება "რეალ მადრიდისა" და ინგლისური პრემიერ ლიგის ხუთი კლუბის ("ჩელსი", "მანჩესტერ სიტი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი", "ლივერპული") მილიარდიან შემადგენლობებს. ამ ჯგუფს ზაფხულის ხარჯების შემდეგ სავარაუდოდ "ტოტენჰემიც" შეუერთდა.

სხვა კლუბებთან შედარებით დაბალი სატრანსფერო ხარჯების მიუხედავად, "ბარსელონამ" ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად მოულოდნელ ზომებს მიმართა.

გორდონის შემთხვევაში, "ბარსელონას" "ნიუკასლ იუნაიტედისთვის" მიმდინარე წლის 31 ივლისს 22.3 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა - საწყისი 69 მილიონის პირველი შენატანი. უახლესი ფინანსური ანგარიშის თანახმად, კლუბმა ეს გადახდა ერთი წლით გადაავადა. თუმცა "ნიუკასლმა" კუთვნილი თანხა მაინც სრულად მიიღო (ისევე როგორც "ევერტონმა", რომელსაც პროცენტები და სოლიდარობის გადასახადი ერგო), რადგან პირველი შენატანი "ბარსელონამ" საბანკო სესხის აღებით დააფინანსა. სხვა სიტყვებით: გორდონის პირველი ტრანში ვალით დაფინანსდა, რამაც ტრანსფერის საერთო ღირებულება ავტომატურად გაზარდა, რადგან ბანკი საპროცენტო სარგებელს ითხოვს.

"ბარსელონას" წმინდა სატრანსფერო ვალი 82.3 მილიონი ევროა და წინა წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა. ევროპულ ელიტასთან შედარებით ეს არ არის კატასტროფული ციფრი, თუმცა ფეხბურთელთა ტრანსფერებზე გადახდების გადავადების სხვა ნიშნებიც ჩანს.

გასული სეზონის ბოლოს "ბარსელონას" "ლაიფციგისთვის" დანი ოლმოს ტრანსფერზე 33.7 მილიონი ევრო ემართა (აქედან 18.9 მილიონი 2026 წლის ივნისამდე იყო გადასახდელი). თუმცა ივნისის ბოლოს ეს დავალიანება შემცირების ნაცვლად 34.4 მილიონამდე გაიზარდა. ეს თანხა ახლა 2027 წლის ივნისამდეა გასასტუმრებელი, მაგრამ უცნაურია, რომ ბალანსი გასულ სეზონში საერთოდ არ შემცირებულა.

ანალოგიურად, 2024/25 წლების ანგარიშში ჩანდა, რომ კლუბს რობერტ ლევანდოვსკის ტრანსფერზე 11.3 მილიონი ევრო ჰქონდა დარჩენილი (10.7 მილიონი "ბაიერნისთვის", დანარჩენი კი ყოფილი კლუბების სოლიდარობის გადასახადი), რაც სრულად 2025/26 წლებში უნდა დაფარულიყო. თუმცა სეზონის ბოლოს "ბაიერნის" წინაშე დავალიანება კვლავ 11.1 მილიონს შეადგენდა (სავარაუდოდ, გასულ სეზონში გააქტიურებული ბონუსების გამო).

2025/26 წლებში სატრანსფერო გადახდების სახით 69 მილიონი ევრო გაიცა, მათ შორის 22.9 მილიონიანი შენატანი "ლიდს იუნაიტედისთვის" რაფინიას სანაცვლოდ (დარჩენილი ბალანსი 2026 წლის ივნისისთვის: 19 მილიონი). თუმცა მაშინაც კი, როდესაც კლუბი ნაკლებს ხარჯავს, ფულადი ნაკადების (cash flow) მანიპულირება აშკარაა. გორდონის გადასახდელად დამატებითი სესხის აღება ლიკვიდურობის მწვავე დეფიციტის პირდაპირი ნიშანია.

The Athletic-ის შეკითხვაზე ამ გადავადებებთან დაკავშირებით, "ბარსელონას" პირდაპირი დადასტურება არ გაუკეთებია, თუმცა ქმედებებს უწოდა: "ფულადი ნაკადების რუტინული მართვა, შემოსავლებისა და გასავლების ვადების დაბალანსება, რასაც ნებისმიერი ბიზნესი აკეთებს."

კლუბმა მიუთითა "ფულადი ნაკადების წნეხზე", რაც გამოწვეულია სტადიონის სამუშაოების გაჭიანურებით და იმ დროებითი წყვეტით, რომელიც დასრულებული სტადიონის საპროგნოზო შემოსავლებსა და მიმდინარე გადასახდელებს შორის გაჩნდა.

2 მილიარდამდე გაზრდილი ვალი და უახლოესი გადახდების რისკი

ვალი "ბარსელონასთვის" დღეს უცხო სიტყვა ნამდვილად არ არის.

თუ სატრანსფერო დავალიანება კონკურენტებთან შედარებით ზომიერია, ფინანსურ ვალზე ამას ვერ ვიტყვით. გასულ შემოდგომაზე The Athletic წერდა, რომ "ბარსელონას" მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე დიდი ვალი ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ ეს მოცემულობა არა მხოლოდ შენარჩუნდა, არამედ გაუარესდა: კლუბის მთლიანი ვალი, ძირითადად Espai Barça-ს პროექტის გამო, 2026 წლის ივნისის ბოლოსთვის 1.840 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

და ეს პიკი არ არის. უახლესი ანგარიში ცხადყოფს, რომ ხელმძღვანელობის აღიარებით, სამუშაოების დასასრულებლად კიდევ 300 მილიონი ევროს სესხება გახდება საჭირო (მას შემდეგ, რაც 2021 წელს ლიმიტი უკვე გაზარდეს 1.5 მილიარდამდე). დამტკიცების შემთხვევაში, პროექტის ახალი ბიუჯეტი - 1.8 მილიარდი ევრო - სამჯერ გადააჭარბებს იმ თანხას, რაც 12 წლის წინ, პროექტის პირველადი დამტკიცებისას იყო დაგეგმილი.

ეს 1.840 მილიარდი მოიცავს არა მხოლოდ Espai Barça-ს, არამედ სხვა სასესხო ვალდებულებებსაც და ეს ციფრი უკვე მოძველებულია. ივნისის შემდეგ კლუბმა გამოუშვა დამატებით 105 მილიონი ევროს 10-წლიანი პრიორიტეტული ობლიგაციები (senior notes), რითაც კიდევ უფრო მიუახლოვდა 2-მილიარდიან ნიშნულს, რომელსაც 2026/27 წლებში ისედაც გადააბიჯებს. ამ ახალ ვალს ერიცხება 5.14%-იანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი - უფრო მაღალი, ვიდრე წინა გამოშვებებს.


2025/26 წლებში კლუბმა მიიღო 51 მილიონი ევროს წმინდა ნაღდი ფული სესხებიდან, და პროექტის მიღმა არსებული ვალი ივნისის ბოლოს თითქმის 600 მილიონს შეადგენდა. რაში იქნა გამოყენებული ახალი 105 მილიონი, მითითებული არ არის, თუმცა მისი ტრანსფერებზე მიმართვა სრულად ემთხვევა The Athletic-ის ინფორმაციას გორდონის პირველი შენატანის დაფინანსებაზე. ესპანური მედია ასევე ამტკიცებს, რომ კლუბმა ახლახან სრულად დაფარა ის 84 მილიონი ევრო, რაც ოლმოს, რაფინიას, კუნდეს, ლევანდოვსკისა და ვიტორ როკეს ძველ ტრანსფერებზე ემართა.

კითხვაზე, მოხმარდა თუ არა ახალი ობლიგაციები სატრანსფერო ვალების გასტუმრებას, კლუბმა უარი თქვა პირდაპირ პასუხზე და კვლავ მშენებლობის შეფერხებით გამოწვეულ ფულადი ნაკადების დროებით დეფიციტზე მიუთითა.

"ბარსელონას" გიგანტური ვალი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: 1.2 მილიარდზე მეტი პირდაპირ Espai Barça-ს პროექტს უკავშირდება - გრძელვადიან ინვესტიციას, რომელმაც იდეალურ სცენარში მომავალში საკუთარი თავი მრავალჯერადად უნდა აანაზღაუროს. დარჩენილი ვალები გაცილებით ნაკლებად სტრატეგიულია და, ფაქტობრივად, იმ მძიმე ფინანსური კრიზისის ნაშთია, რომელშიც კლუბი რამდენიმე წლის წინ აღმოჩნდა.

სტადიონის პროექტის გაჭიანურების მთავარი პრობლემა მხოლოდ შემოსავლების დაგვიანება არ არის. საპროცენტო გადასახადებმა ბიუჯეტის მძიმედ დაზიანება უკვე დაიწყო. გასულ სეზონში კლუბიდან მხოლოდ სესხის პროცენტის სახით გასულმა თანხამ 90 მილიონ ევროს გადააჭარბა - ეს თვალისმომჭრელი ციფრია, რომელიც მუდმივი სესხების გამო კვლავ განმეორდება.

ვალების დაფარვის უახლოესი გრაფიკი (მლნ. ევრო)



"ბარსელონა" რეგულარულად შეეცდება ვალების რეფინანსირებას, რადგან ესპანეთში საპროცენტო განაკვეთები შემცირდა იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც ძველი ვალები აიღეს. მიმდინარე წლის ივლისში მათ მოახდინეს Espai Barça-ს 84 მილიონი ევროს ვალის რეფინანსირება უფრო დაბალი პროცენტით, თუმცა ეს მთლიანი ვალის მხოლოდ მცირე ნაწილია. ხოლო ამ ზაფხულს აღებული ახალი სესხები, პირიქით, უფრო მაღალი პროცენტით დამტკიცდა.

პროექტის რეფინანსირება აუცილებელი იქნება არა მხოლოდ პროცენტის შესამცირებლად, არამედ იმიტომაც, რომ კლუბი უახლოეს მომავალში გიგანტური გადახდების წინაშე დგება, რომელთა დაფარვის რესურსიც ამჟამად არ გააჩნია.

კლუბი, ლაპორტა და გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ Espai Barça ამ დროისთვის დასრულებული იქნება, რაც რეფინანსირების მოლაპარაკებებს გააადვილებს, თუმცა "ბარსელონას" მაინც ექსტრემალურად დიდი თანხების გადახდა მოუწევს. სტადიონის ვალი, თუმცა უზრუნველყოფილია მომავალი შემოსავლებით, აღებულია რამდენიმე პროცენტული პუნქტით უფრო ძვირად, ვიდრე "რეალ მადრიდის" მიერ საკუთარი სტადიონისთვის აღებული კრედიტები - რაც კრედიტორების მხრიდან კატალონიელთა ფინანსების მიმართ უნდობლობის აშკარა ნიშანია.

ამ კონტექსტში, ივნისის შემდეგ აღებული დამატებითი სესხები და გორდონის ტრანსფერის უცნაური სქემა სრულიად ლოგიკური ხდება, რადგან კლუბი ყოველ სეზონზე ფულს კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ საოპერაციო მომგებიანობის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია.

"ბარსელონას" თავისუფალი ფულადი ნაკადი (Free Cash Flow - ნაღდი ფული საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების დაფარვის შემდეგ) მკვეთრად მერყეობდა, მეტწილად სწორედ ბერკეტების გამო. 2024/25 წლებში სტადიონის ხარჯების გარეშე თავისუფალი ფულადი ნაკადი საგრძნობლად დადებითი იყო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ Nike-თან განახლებული კონტრაქტით კლუბმა წინასწარ მიიღო უზარმაზარი ავანსი.

გასულ სეზონში თავისუფალი ფულადი ნაკადი 446 მილიონი ევროთი უარყოფითი იყო, თუმცა ეს მოიცავდა ინფრასტრუქტურაზე დახარჯულ 350 მილიონსა და პროცენტის სახით გადახდილ 91 მილიონს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: Espai-ს ხარჯების გამოკლებითაც კი, "ბარსელონამ" იმაზე მეტი ნაღდი ფული დახარჯა, ვიდრე გამოიმუშავა. სამუშაოების დასრულებამდე დიდი გადახდების დაწყებამ შექმნა დროებითი წყვეტა, რამაც ლიკვიდურობა უმოკლეს ვადაში უკიდურესად შეზღუდა.

კლუბის ვალის ოდენობა ზოგ წრეებში ხშირად გაზვიადებულია, როდესაც მის ყველა ვალდებულებას ერთად აჯამებენ ისე, როგორც სხვა კლუბების შემთხვევაში არ ხდება. თუმცა არც მიმდინარე გადასახდელების დაკნინება იქნება სწორი.

ყოველდღიური ვალდებულებების, ფინანსური და სატრანსფერო ვალების, ფეხბურთელებისა და საგადასახადო ორგანოების წინაშე არსებული დავალიანებების გათვალისწინებით, თანხა, რომელიც კლუბმა 2026/27 წლებში უნდა დაფაროს, 905 მილიონ ევროს შეადგენს (უცვლელია წინა წელთან შედარებით). ამ დროს კლუბის მოკლევადიანი აქტივები მხოლოდ 529 მილიონია, რაც -376 მილიონი ევროს უარყოფით საბრუნავ კაპიტალს ქმნის (110 მილიონით გაუარესებული წინა წელთან შედარებით).

"ბარსელონა" კვლავ არაორდინარულ მოვლენად რჩება - და შეხსენებად იმისა, რომ მარტივი გამოსავალი არ არსებობს. ლაპორტას პირობებში სატრანსფერო ხარჯების საგრძნობი შეკავების მიუხედავად, მიმდინარე საოპერაციო ხარჯები უზარმაზარია და ისინი კვლავ ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ხელფასებს გაცემენ.

ვალი რეკორდულად იზრდება. თავისთავად, ეს შესაძლოა კატასტროფა არ ყოფილიყო: Espai Barça აშკარად ღირებული პროექტია, რომელმაც დასრულების შემდეგ დიდი მოგება უნდა მოიტანოს. ინფრასტრუქტურაში ინვესტირება შემოსავლების გასაზრდელად გონივრული ნაბიჯია, განსაკუთრებით ისეთ კლუბში, რომელსაც მდიდარი მფლობელები და აქციონერები არ ჰყავს. ისევე, როგორც "რეალ მადრიდის" შემთხვევაში, "ბარსელონას" პრობლემის ნაწილი იმ უცხოურ კლუბებთან კონკურენციაა, რომლებსაც მილიარდერი შეიხები და ოლიგარქები აფინანსებენ. თუმცა ვალების დაფარვის უზარმაზარი ვადები ახლოვდება, ხოლო რეფინანსირება აქამდე უფრო ხშირად მაღალ და არა დაბალ პროცენტებს უკავშირდებოდა, რაც პროექტის მძიმე ფინანსური კრიზისის დროს დაწყების პირდაპირი შედეგია.

სწორედ უმაღლეს დონეზე კონკურენციის შენარჩუნების სურვილი განაპირობებს იმას, რომ კლუბის ფინანსური გაჯანსაღება სწრაფი არ იქნება.

ლაპორტას შეეძლო ყველაფერი შეემცირებინა, უარი ეთქვა ხელფასების ინფლაციურ რბოლაზე, გაეყიდა ახალგაზრდა ვარსკვლავები დიდ ფასად და ამით მოედანზე ძალა დაეკარგა. თუმცა, რა თქმა უნდა, მას ეს არ შეეძლო. "ბარსელონა", რომელიც ელიტაში არ იბრძვის, არ იმუშავებდა - სოსიოსები ლაპორტას ხელახლა არ აირჩევდნენ და კლუბს ხელსაყრელი კრედიტების მიღებაც გაუჭირდებოდა: ვის რაში სჭირდება 105,000-იანი სტადიონი იმ გუნდის გარეშე, რომლის ყურებაც ღირს?

"ბარსელონამ" ეს სანახაობრივი გუნდი შეინარჩუნა, და მიუხედავად იმისა, რომ კოლოსალური ფინანსური ბარალის ეტაპი გადალახულია, კლუბი ჯანსაღი მდგომარეობისგან ჯერ ძალიან შორსაა. მათ სასიცოცხლოდ სჭირდებათ მეგაპროექტის რაც შეიძლება სწრაფად დასრულება, ხოლო მიმდინარე ზაფხულს ტრანსფერებში დახარჯული თანხები საგანგაშო ნიშნებს ატარებს: პრეზიდენტი გულშემატკივრების კეთილგანწყობას დამატებითი ფინანსური რისკების ფასად ინარჩუნებს.

ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე რაც შეიძლება შორს გასვლა გუნდს ძალიან დაეხმარებოდა - და თუ შევხედავთ, რა აქვს კლუბს ჩადებული 2026/27 წლების ბიუჯეტში, ეს ფაქტობრივად გარდაუვალი ამოცანაა. მიმდინარე სეზონში სახელფასო ფონდის პროგნოზი რეკორდულ 648.9 მილიონ ევროს შეადგენს - კიდევ 75 მილიონით მეტი გასულ წელთან შედარებით (აქედან 57 მილიონი კვლავ კაცთა გუნდზე მოდის). თუ ეს ბიუჯეტი გამართლდა, კლუბის სახელფასო ჭერი იმ ნიშნულს მიაღწევს, რაც ევროპულ ფეხბურთში აქამდე მხოლოდ "პარი სენ-ჟერმენს" ჰქონია.

ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც პარალელურად Espai Barça უნდა დასრულდეს და ის დამატებითი 250 მილიონი ევრო გააქტიურდეს.

"ბარსელონას" გრძელვადიანი მომავლისთვის ყველაზე გადამწყვეტი იმ გიგანტური თანხების წარმატებული რეფინანსირება იქნება, რაც პროექტისთვის უკვე ისესხეს. ამჟამად, სტადიონის ხარჯებისა და პროცენტების გამოკლებითაც კი, კლუბი თავისუფალ ნაღდ ფულს ვერ აგენერირებს - თუ არ ჩავთვლით მომავალი აქტივების გაყიდვას ან სპონსორებისგან წინასწარ მიღებულ მსხვილ ავანსებს. კონკურენციის ხარჯები კოლოსალურია და შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო იზრდება.

იზრდება შემოსავლებიც: 2026/27 წლებში კლუბი 1.1 მილიარდ ევროზე მეტს ელოდება. ეს გუნდს დაეხმარება, თუმცა სესხის პროცენტის გადასახადები კლუბის სალაროდან ყოველწლიურად უკვე თითქმის 100 მილიონ ევროს იწოვს და შესაძლოა ეს ციფრი კიდევ გაიზარდოს. ამ ვალდებულებებთან უფრო მშვიდად გამკლავება და ვალის უფრო ხელსაყრელ პირობებში გადაყვანა ლაპორტას ახალი საპრეზიდენტო ვადის მთავარი გამოცდა იქნება. ათწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის თასის მოგებაც საქმეს ნამდვილად წაადგებოდა.

"ბარსელონას" ყურება ნამდვილად ელირება. როგორც ყოველთვის.

ავტორი: კრის უებერსპუნი (Chris Weatherspoon) - The Athletic UK-ის საფეხბურთო ფინანსების ანალიტიკოსი და სერტიფიცირებული ბუღალტერი.